

აკადემიის წევრების სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებებით

ქეთევან დოდონაძე

რეჟინიანი რეპორტი ტექსტობრივი
ფენომენი და რეპორტი
ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა
(ე. ჰემინგუეის მცირე პროზის ქართულ თარგმანთა
ანალიზის საფუძველზე)

10.02.04 – გერმანიკული ენები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა რ ტ ი რ ე ზ ე რ ა ტ ი

ქუთაისი

2010

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან დოღონაძე

**რეზიუმენი რეგორც ტექსტობრივი
ფენომენი და რეგორც
ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა**

(ე. ჰემინგუეის მცირე პროზის ქართულ თარგმანთა
ანალიზის საფუძველზე)

10.02.04 – გერმანიკული ენები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ რ ე ვ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2010

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მადონა მეგრელიშვილი** –
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: 1. **მაია ჩხეიძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

2. **რეზო მარსაგიშვილი** – ფილოლოგიის
დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე 2010 წლის 26/XI 12 საათზე.

მისამართი: 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59, კორპუსი I, აუდიტორია № 1114

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59)

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ირმა ყიფიანი

ნაშრომის ზოგადი დასასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება რეფერენციას, როგორც ენობრივი ფენომენის ისეთ ასპექტს, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ენის არსებობისა და ფუნქციონირების როგორც სისტემური, ისე აქტუალიზებული მოდულებისათვის. „რეფერენცია“ როგორც ტერმინი მიუთითებს ლინგვო-სემიოტიკურ კონცეპტზე, რომელიც თავისი გენეზისით და შინაარსით განეკუთვნება თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურ-სემიოტიკურ პარადიგმას, რომელიც როგორც ქრონოლოგიურად, ისე თეორიულად და მეთოდოლოგიურად წინ უსწრებს უფრო გვიანდელ პარადიგმებს, სახელდობრ, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურსა და ლინგვოკულტუროლოგიურს. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ რეფერენციას როგორც ენობრივ ფენომენს მთელი მისი შესაძლო მოცულობით. ამ თვალსაზრისით მხედველობაში ვიღებთ როგორც მისი კვლევის უკვე არსებულ შედეგებს, ისე იმ თეორიულ ვარაუდსაც, რომლის მიხედვით ხსენებული ფენომენის არსებითი ასპექტები ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. მაგრამ, ჩვენთვის, ბუნებრივია, მთავარია არა თანამედროვე ლინგვისტიკის შემოსხნებულ პარადიგმულ სტრუქტურაზე მითითება, არამედ იმ შინაგანი და ღრმად პრობლემური კავშირის ხაზგასმა, რომელიც არსებობს ამ პარადიგმულ სტრუქტურასა და ჩვენს საკვლევ თემას, ანუ რეფერენციის ენობრივ ფენომენს შორის.

გფიქრობთ, ადვილად დაავრწმუნდებით ამგვარი კავშირის არსებობაში თუ მოვიყვანთ რეფერენციის თუნდაც ორ დეფინიციას – პირველს, რომელიც თარიღდება 1990 წლით და მეორეს, რომელიც შემოთავაზებულ იქნა უკვე 10 წლის შემდეგ – 2001 წელს. პირველის მიხედვით, რეფერენცია წარმოადგენს აქტუალიზებულ (ანუ მეტყველებაში ჩართულ) სახელთა, ნომინალურ გამოთქმათა (ნომინალურ ჯგუფთა) ან მათ ექვივალენტთა დაკავშირებას სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებ-